

თავი 2 შფოთისთავი

მოგზაურობის რამდენიმე საათის განმავლობაში ჯონათანს სიცოცხლის არანაირი ნიშანი არ შეხვედრია. უეცრად ბარდებში რაღაცამ გაირბინა. მან თვალი მოჰკრა პატარა, ყვითელხოლემა კუდიან ცხოველს, რომელმაც უხილავ ბილიკზე ჩაიქროლა. „კატა... იქნებ მან მიმიყვანოს ადამიანებთან,“ – გაიფიქრა ჯონათანმა და დაბურულ ჯუნგლებში გაუჩინარდა.

ნაპირი ხშირ ფოთლებში აღარ ჩანდა. უეცრად ჯონათანს ქალის კივილის ხმა მოესმა. ის გაჩერდა, მიაყურა, ცდილობდა გაერკვია, საიდან მოდიოდა ხმა. სადღაც წინ ვიღაცამ კვლავ გულშემზარავად დაიკივლა და შეველა ითხოვა. ჯონათანი იქით გაექანა, საიდანაც ხმა ისმოდა. მალე ის ჯუნგლებიდან ბილიკზე გამოვიდა.

ბილიკის მოსახვევში ზორბა მამაკაცს შეეჯახა.

– გამატარე, წრიპავ! – დაიდრიალა მამაკაცმა და ჯონათანი მწერივით მოიქნია. გამოფხიზლებულმა ჯონათანმა დაინახა ორი მამაკაცი, რომლებიც ბილიკზე ქალს მიათრევდნენ. ქალი კიოდა და ფეხებს იქნევდა. ვიდრე ჯონათანმა სული მოითქვა, სამეული უკვე აღარ ჩანდა. ჯონათანი დარწმუნებული იყო, რომ თვითონ ვერ შეძლებდა ქალის გათავისუფლებას, ამიტომაც დამხმარის საქმბუნელად უკან გაიქცა.

როგორც იქნა, გამოჩნდა მდელო. იქ თავმოყრილი იყო ხალხი, ისინი უზარმაზარი ხის გარშემო იდგნენ და კეტებს ურტყამდნენ მას. ჯონათანი მიუახლოვდა ერთ-ერთ კაცს, რომელიც სხვების მუშაობას ადევნებდა თვალს.

– დამეხმარეთ, სერ! – დაიძახა სუნთქვაშეკრულმა. – ორმა მამაკაცმა ქალი დაიჭირა და მას დახმარება სჭირდება!

– ნუ დელავ! – უხეშად უპასუხა კაცმა, – იგი დაპატიმრებულია. დაივიწყე ის და გზა განაგრძე. ვერ ხედავ, სამუშაო გვაქვს.

– დაპატიმრებულია? აღელვებული ხმით იკითხა ჯონათანმა. – მაგრამ ის სულაც არ ჰგავს დამნაშავეს.

თუ ის დამნაშავეა, მაშინ რატომ ითხოვდა დახმარებას ასეთი განწირული ხმით? – გაიფიქრა ჯონათანმა. – მაპატიეთ, სერ, მაგრამ რა დააშავა?

– რაო? – დაიქოშინა მამაკაცმა გაღიზიანებული ხმით, – თუ გინდა იცოდე, – მან საფრთხე შეუქმნა ჩვენს სამუშაოს.

– საფრთხე შეუქმნა? როგორ? – იკითხა ჯონათანმა.

მამაკაცმა ზემოდან გადახედა აბუზარ ცნობისმოყვარეს, მოჰკიდა ხელი და მიიყვანა ხესთან, სადაც მუშები საქმიანად აგრძელებდნენ კეტებით მუშაობას.

– როგორც ხედავ, ჩვენ ხესთან გვიწევს მუშაობა, – ამაყად თქვა კაცმა, – ამ კეტებით ხეებს შეშისთვის ვჩეხავთ. ზოგჯერ ას კაცს დღე და ღამე უწევს მუშაობა იმისათვის, რომ კარგად მოზრდილი ხე ერთ თვეში წააქციოს.

კაცმა ტუჩები მოკუმბა და მოხდენილი ქურთუკის სახელოდან მტვერი ჩამოიფერთხა.

– როდესაც ქალბატონი დროუბო დღეს დილით სამუშაოზე გამოცხადდა, მის კეტზე კარგად გაღესილი რკინა იყო მიბმული, – განაგრძო მან.

– ამ ქალბატონმა ყველას შეურაცხყოფა მოგვაყენა, რადგანაც საკუთარი ძალებით ერთ საათში მოახერხა ხის წაქცევა! წარმოგიდგენია! მსგავსი მოქმედება საფრთხეს უქმნის ჩვენს სამუშაო ტრადიციებს და უნდა აღიკვეთოს!

ჯონათანს გაოგნებისგან თვალები გაუფართოვდა როდესაც გაიგო, რომ ქალი თავისი საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომისთვის დაისაჯა. იქ, საიდანაც ის ჩამოვიდა, ხის წასაქცევად ხერხსა და ნაჯახს იყენებდნენ. სწორედ ასე მოიპოვა მან ხის მასალა თავისი ნავისთვის.

– მაგრამ მისი აღმოჩენა ხომ ნებისმიერი აღნაგობისა და ფიზიკური შესაძლებლობის მქონე ადამიანს აძლევს საშუალებას ხე წააქციოს! – წამოიყვირა

ჯონათანმა. – განა ეს უფრო ხელმისაწვდომსა და იაფს არ გახდიდა ხის მასალის მოპოვებასა და მის გადამუშავებას?

– რას ლაპარაკობ? – გაბრაზდა მამაკაცი. – როგორ შეიძლება ამის გამართლება? განა შეიძლება ასეთი დიადი სამუშაო მიანდო ვიღაც სუსტსა და უძლურს, ვისაც კი რაიმე ბრწყინვალე იდეა დაებადება?

– მაგრამ, სერ, თქვენს მუშებს ხომ ოსტატური ხელები და ნიჭი აქვთ. იმის მაგივრად, რომ ერთი ხის წაქცევაზე დაკარგონ დრო, ისინი შეძლებდნენ ახალი საქონლის წარმოებას, მაგიდების, კარადების, ნავეების შექმნას და თუნდაც სახლების შენებას! – ზრდილობიანად მიუგო ჯონათანმა.

– მომისმინე, – თქვა მამაკაცმა და მის გამოსხედავაში მუქარამ გაიელვა, – ჩვენს საზოგადოებაში მუშაობის არსი სრულ და სტაბილურ დასაქმებაში მდგომარეობს და არა ახალი საქონლის წარმოებაში.

მამაკაცის საუბრის ტონი აუტანელი გახდა.

– შენ რაღაც შფოთისთავი ჩანხარ. ნებისმიერი, ვინც ამ ვერაგი ქალის აზრს იზიარებს, საფრთხის შემქმნელია. საიდან ხარ?

– ქალბატონ დროუბოს არც ვიცნობ და პრობლემის შექმნას სულაც არ ვაპირებ, სერ. ვფიქრობ, მართალი ბრძანდებით. კარგი, დროა წავიდე, – თქვა ადელგებულმა ჯონათანმა. ამ სიტყვებით იგი გამობრუნდა და აჩქარებული ნაბიჯით ბილიკს გაუდგა. ადგილობრივ მოსახლეობასთან პირველმა შეხვედრამ არასასიამოვნო გრძნობა დაუტოვა.